შეუიბრძოლის ორგანიზაციამ თვალსაჩინო ადგილი უნდა დაიკავოს საბჭოთა ხელისუფლების ავანგარდთა შორის ეკონომიურ დარგში.

ვ. ი. ლენინი.

მომჭირნეობით ვხარჯოთ ლითონები და მასალები!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 18 (13412) | შაბათი, 22 იანვარი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

ღირსეულად შევხვდეთ სკკპ XXIII ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობას — ახალი დევიზით შრომაში რუსთავის მეფოლადეები. გასულ წელს მათ სამშობლოს მისცეს ახალი ათასობით ტონა ზეგეგმითი ფოლადი.

კარგი სტარტი აიღეს ახალი წლიდან რუსთავის მეტალურგებმა. თავისი შრომითი მაჩვენებლებით გამოირჩევა კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი დიმიტრი ბარათაშვილი ხელმძღვანელობს. ეს ბრიგადა № 7 ღუმელს ემსახურება. მარტო დეკემბერში ამ ღუმელზე გამოადნეს 2.448 ტონა ზეგეგმითი ფოლადი.

ახალი წლის პირველი დღიდანვე ბრიგადა დადგა მომავალი ყრილობების აღსანიშნავ შრომითს ვახტზე და ყოველდღიურად გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებას.

• • •

სურათზე: რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადეთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი დიმიტრი ბარათაშვილი.

ფოტო **ბ. კიკვაძისა** და **ს. თევზაძისა** (საქდესის ფოტოქრონიკა).

პროპაგანდისტი

ცინტუა პროპაგანდისტი ნიშნავს, იდეის, მოძღვრების, ცოდნის გამავრცელებელს. კომუნისტი პროპაგანდისტი თავისი სიმართლით, აზრის სიცხადით, მოწინავე რევოლუციური თეორიის ღრმა ცოდნით სულ უფრო იპყრობს აუდიტორიას.

და თუ დღეს ყოველ ნაბიჯზე ვხედავთ მასების მიერ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებას და მის პრაქტიკულ ძალად გადაქცევას, ამ საქმეში ერთ-ერთი გადამწყვეტი ადგილი პროპაგანდისტს უჭირავს. იგი პარტიის ერთგული ჯარისკაცია იმ დიდ ბრძოლაში, რომელსაც იდეოლოგიური ფრონტი აქვია.

მარქსისტულ-ლენინური თეორია, რომელიც პროპაგანდისტს მსჯელობამდე მიაქვს, აიარაღებს კომუნისტური საზოგადოებისათვის მებრძოლებს თანმიმდევრული მეცნიერული მსოფლმხედველობით.

კომუნისტური პარტია ამაყობს თავისი პროპაგანდისტებით. პარტიამ აღზარდა პრაპაგანდისტთა უდიდესი არმია. მაგალითად, მარტო საქართველოს პარტიული ორგანიზაცია თავის რიგებში ითვლის 15 ათასზე მეტ პროპაგანდისტს. ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ არიან ცნობილი პროპაგანდისტები — თბილისიდან ი. თავაძე, შ. გურაბანიძე, ვ. მაღრაძე და ნ. კიკვაძე; ქუთაისიდან — ა. დადუნაშვილი, გ. რუხაძე და გ. გაბიძაშვილი; რუსთავიდან — ი. გელაშვილი და დ. თაბაგარი, სოხუმიდან — ბ. ბოიკო და კ. თოდუა; ბათუმიდან—ლ. კოზლოვსკაია და ვლ. გაბილაია. ცხინვალიდან ა. კარაკულოვი, ნ. გობოზოვი და სხვ. ესენი არიან მომზადებული, იდეურად მტკიცე, ავტორიტეტიანი ადამიანები, რომლებსაც შესწევთ უნარი თეორიული დებულებანი შემოქმედებითად დაუკავშირონ პრაქტიკულ ამოცანებს, ხალხის ყოველდღიურ ბრძოლას კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

ამ რამდენიმე ხნის წინათ „კომუნისტის“ რედაქციამ მიიღო თბილისის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის პარტიული ორგანიზაციასთან შექმნილი მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელი სკოლის პროპაგანდისტის ვ. ნადარეიშვილის წერილი იგი სკკპ წევრია 1917 წლიდან, აქვს პროპაგანდისტული მუშაობის დიდი ხნის სტაჟი. აი რას წერს იგი:

„მახარებს ის, რომ ვარ იმ მეტად პასუხსაგები და საპატიო მოვალეობის შემასრულებელი კომუნისტთა რიცხვში, ისაც პარტიამ ნდობა გამოუცხადა და პროპაგანდისტული მუშაობა დაავალა. პროპაგანდისტის დიდი მოვალეობა მოწითხოვს მეტ მონდომებასა და სიბეჯითეს. ხოლო როდესაც მეტ პასუხისმგებლობას გრძნობ, საქმეც უკეთ მიდის. ვინ მოთვლის, რამდენი სიხარულის გრძნობაა პროპაგანდისტულ მუშაობაში ჩაქსოვილი!“

ამ სიტყვებმი ნათლად ჩანს კომუნისტი პროპაგანდისტის სახე, მისი დიდი პასუხისმგებლობა პარტიული დავალების შესრულებისათვის.

ჩვენი პროპაგანდის ძალაა განუყოფელი კავშირი ცხოვრებასთან. კომუნიზმის მშენებელი ხალხის შრომასთან, და თუ 1965 წელს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა მეტად თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს მეურნეობისა და კულტურის განვითარების საქმეში, აქ თავისი წვლილი აქვთ რესპუბლიკის პროპაგანდისტებსაც. პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მათ სერიოზული მუშაობა გასწიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და სექტემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის მშრომელთა მობილიზაციის საქმეში. ეს მუშაობა სულ უფრო მეტად ფართოვდება სკკპ XXIII ყრილობისათვის მზადების დღეებში.

ყველაზე მთავარი, ყველაზე არსებითი უბანი პროპაგანდისტული მუშაობისა არის კომუნისტების პარტიული სწავლება, სასწავლო წლის მაღალ-იდეურ დონეზე წარმართვა. წელს წინა წლებისაგან განსხვავებით ბევრი სიახლეა პარტიული სწავლების სტრუქტურაში. პირველადი პარტიული ორგანიზაციების, პარტიული კომიტეტების დახმარებით პროპაგანდისტებმ წარმატებით გაართვეს თავი მათ წინაშე დასახულ ამოცანებს, და სასწავლო წელი ბევრგან პარტიული განათლების ყველა რგოლში ნაყოფიერად მიმდინარეობს.

საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის კალინინის სახელობის რაიკომმა უკვე რამდენჯერმე განიხილა პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წლის მიმდინარეობის საკითხი. რაიკომის მიერ საკითხის გულდასმით შესწავლამ გვიჩვენა, რომ ქალაქის სატელეფონო სამმართველოს და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სადგურის პარტიულ ორგანიზაციებთან შექმნილ დაწყებითს პოლიტსკოლასა და მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელ სკოლაში მეცადინეობა დაბალ დონეზე ეწყობა. ამის მიზეზია ის, რომ პროპაგანდისტები ნ. ჯიკია და გ. ვეფხვაძე ნაკლები პასუხისმგებლობით ეკიდებიან მათთვის გამოცხადებულ მაღალ ნდობას და სათანადოდ არ ემზადებიან ყოველი მეცადინეობისათვის!

სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ არიან პროპაგანდისტები, რომლებიც ძველებურად მუშაობენ, მთავარ უურადღებას უთმობენ მზამზარეული ფორმულების დაზეპირებას, წარმოთქვამენ მხოლოდ ზოგად ლოზუნგებსა და მოწოდებებს. პარტიულმა ორგანიზაციებმა მეტი უურადღება უნდა მიაქციონ პროპაგანდისტთა კადრების შერჩევასა და აღზრდას. უფრო გაბედულად დაანწინაურონ ახალგაზრდა, ნიჭიერი, მცოდნე ადამიანები.

პრინციპულად მტკიცე და ნიჭიერი პროპაგანდისტი რომ გახდე, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, ამისათვის საჭიროა საკმაოდ ისწავლო და გამოცდილება შეიძინო; საჭიროა ასეთი ადამიანები დავსპეციალოთ, მთლიანად დასაქმებული გვყავდეს და ძლიერ ვუფრთხილდებოდეთ. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა შექმნან ყველა საჭირო პირობა პროპაგანდისტების ნაყოფიერი მუშაობისათვის, არ გადაკვირთონ ისინი სხვა დავალებებით და მორალურად წაახალისონ საუკეთესონი.

უდავოდ მისასალმებელია ცალკეული პარტიული კომიტეტების, მსხვილი პირველადი პარტიული ორგანიზაციების მიერ პროპაგანდისტების დღის, პროპაგანდისტთა საპატიო წიგნის, ალბომებისა და სხვ. შემოღება. ჩვენ უნდა ვეძებოთ მოწინავე პროპაგანდისტთა საუოველთაო შეფასების კიდევ უკეთესი ფორმები.

შეცდომას უშვებენ ის ადამიანები, რომლებიც ახდენენ იდეოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობის დაპირისპირებას იდეოლოგიური მუშაკის საქმიანობა მხოლოდ მაშინ არის ნაყოფიერი, როცა იგი მოქმედებს როგორც მასების პოლიტიკური ორგანიზატორი. ამავე დროს წარმატებას შეიძლება მიაღწიოს მხოლოდ ის ხელმძღვანელმა, რომლის ორგანიზატორული მუშაობის მთავარი მეთოდია ადამიანთა დაჯერება და აღზრდა.

პარტია და ხალხი დიდად აფასებენ პროპაგანდისტებს — კომუნიზმის საქმის გამარჯვებისათვის დაუცხრომელ მებრძოლებს. მათი შრომა ადვილი რომდია. იგი მოითხოვს დიდ მეცადინეობას, მათ აღფრთოვანებს იმის შეგნება, რომ ეწევიან თანამედროვეობის უველაზე დიადი იდეალების პროპაგანდას, იდეურად აიარაღებენ მშრომელ მასებს.

დაე ყველგან გაისმოდეს პარტიული პროპაგანდისტის მგზნებარე სიტყვა. ახალ ენერგიას მატებდეს საბჭოთა ადამიანს კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში!

ლამპატებით — 12 ტრაქტორი

ქუთაისი. (საქ. კორ.). სატრაქტორო ქარხნის კოლექტივის გადაწყვეტილებაა:

8-მილიმეტრიანი ფურცლოვანი ფოლადის განლაგებისა და გამოკრის რუკების შეცვლით შემამცირონ ლითონის ხარჯვა მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების დისკოების დამზადებისას, ხოლო ფოლადის ნარჩენები მთლიანად გამოიყენონ მცირე დეტალების — საყელურებისა და სიხისტის წიბოს დასამზადებლად. ამ გზით დაზოგონ 4 ტონა ლითონი;

ავტომანქანის საყრდენი მოწყობილობის კარტერის საბურავისათვის, რასაც აქ ავტომშენებელთა დაკვეთით ამზადებენ, ამიერიდან ფოლადის ნაცვლად გამოიყენონ თუჯი, რითაც გასწიონ 3 ტონამდე ფოლადის ეკონომია;

3-მილიმეტრიანი ფოლადის რაციონალური გამოკრის გზით დაზოგონ 2,4 ტონა ლითონი;

დაზოგილი ფერადი და შავი ლითონებისაგან მიმდინარე წელს დამატებით გამოუშვან „რითონ-2“ მარკის 12 ტრაქტორი.

მანქანათმშენებლებმა გადაწყვიტეს

ბათუმელმა მანქანათმშენებლებმა გადასინჯეს თავიანთი რეზერვები, შეასძლეს ლობანი და გადაწყვიტეს 1966 წელს დაზოგონ 50 ტონა შავი ლითონის ნაგლინი, 15 ტონა საფაი და 50.000 კილოვატ-საათი ელექტროენერგია. დაზოგილი ლითონისა და სხვა მასალების ხარჯზე გამოუშვან რამდენიმე მანქანა. („კომუნისტის“ კორ.).

ათასობით დეციმეტრი ტყავი

სოხუმი. (საქ. კორ.). პრაქტიკამ ცხადყო, რომ ყოველ მუშას, რომელ უბანზეც უნდა იმყოფებოდეს იგი, შეუძლია მასალების დაზოგვა. ამას ნათლად მოწმობს სოხუმის ს. ორჯონიკიძის სახელობის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის მაგალითი. აქ საშტამპო საამქრომ გასულ წელს 48.498 დეციმეტრი მაგარი ტყავი დაზოგა.

სოხუმელმა მეფეხსაცმელეებმა აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს წელს დაზოგონ 80 ათასი დეციმეტრი ტყავი. ეკონომიისათვის ბრძოლაში ჩაებნენ საშტამპო საამქროს ოსტატები გ. დავითაია, ა. თოლორდავა, კ. ვორონინი, ბ. ჯალალონია და სხვები. თვითეულმა მათგანმა იკისრა წლის განმავლობაში დაზოგოს შვიდი-ცხრა ათასი კვადრატული დეციმეტრი საძირე ტყავი.

ეკონომიისათვის მოძრაობა დაიწყო გამომჭრელ საამქროშიც. აქ გადაწყვიტეს წელს დაზოგონ 100 ათასზე მეტი კვადრატული დეციმეტრი საპირე ტყავი.

◆

მეკაბელეთა დანაზოგებით

ზესტაფონი. (საკ. კორ.). „საქკაბელის“ ზესტაფონის ქარხანა შვიდწლედის პირმშოა. იგი პირველია რესპუბლიკაში. საწარმოს ახალგაზრდულმა კოლექტივმა ბევრი ახალი მარკის პროდუქციის გამოშვება აითვისა.

ქარხანამ წელს მეტად კარგი სტარტი აიღო, გადაჭარბებით შეასრულა იანვრის პირველი დეკადის დავალება. აქ ყველა საამქრო, ცალკა და ბრიგადა ზეგეგმითს პროდუქციას იძლევა.

მეკაბელიები მხურვალედ გამოეხმაურნენ მოსკოვისა და ლენინგრადის საწარმოთა თაოსნობას, დაიწყეს ლაშქრობა მომეჭირნეობისათვის. აქ სულ მცირე 5 ტონა ფერადი ლითონსა და 6 ტონა საიზოლაციო რეზინსა და პლასტმასას დაზოგავენ. — ამ დანაზოგით, განაცხადა ქარხნის დირექტორმა დ. კუზიანიძემ, სამშობლოს გეგმის გადამეტებით მივცემთ 420 კილომეტრ მაღალხარისხოვან კაბელს.

თეთრწყაროელთა ინიციატივის პასუხად

მივცეთ დედასამშობლოს მეჯი კვების პროდუქტები!

ალ. თოიძე,

საქართველოს კპ მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი

რაიონში ფართოდ არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. მახარაძელებმა მხარი დაუჭირეს თეთრწყაროელთა პატრიოტულ თაოსნობას და ვალდებულება იკისრეს ახალი წარმატებებით აღნიშნონ ხუთწლედის პირველი წელი.

რაიონის მშრომელებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის გახსნის დღისათვის სახელმწიფოს მიაყიდონ პირველი კვარტალის გეგმით გათვალისწინებული 950 ცენტნერი ხორცი, 2.140 ცენტნერი რძე და 216.000 ცალი კვერცხი.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უნარიანად იყენებენ ზამთრის ხელსაყრელ ამინდებს. გაჩაღებულია ჩაის პლანტაციების ნიადაგის ბარვა და სასუქების შეტანა. ეს სამუშაო მოლიანად დამთავრდება თებერვლის ბოლომდე. მახარაძელები მტკიცე საფუძველს უყრიან მიმდინარე წლის უხვ მოსავალს. წელს შარშანდელთან შედარებით მკვეთრად გადიდდება მეცხოველეობის პროდუქტების, ჩაის, ციტრუსების, სიმინდის წარმოება.

ა. ვარდოშვილი,

საქართველოს კპ თელავის რაიკომის პირველი მდივანი

თეთრწყაროელთა პატრიოტული თაოსნობის პასუხად თელაველმა მშრომელებმა გადაწყვიტეს: პირველი მარტისათვის — საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის გახსნის წინადღისათვის სახელმწიფოს მიაყიდონ 1.100 ცენტნერი ხორცი ნაცვლად პირველი კვარტალის გეგმით გათვალისწინებული 1.080 ცენტნერისა.

წელს პირველ კვარტალში გეგმით სახელმწიფოს უნდა მიეყიდოს 2.910 ცენტნერი რძე. თელაველთა პირობაა 15 მარტამდე სახელმწიფოს მიაყიდონ 3 ათასი ცენტნერი რძე, ხოლო 2 მარტამდე სახელმწიფოს კვერცხს მიაყიდიან 265 ათას ცალს ნაცვლად პირველი კვარტალის გეგმით გათვალისწინებული 260 ათასი ცალისა. ამასთან ერთად გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით ცენტნერი ხორცის თვითღირებულებას შეამცირებენ 10 პროცენტით.

თელაველებმა გადიდებული ვალდებულებები იკისრეს ბერეთი მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების დროულად შესასრულებლად.

ძმური მეგობრობის ვითარებაში

20 იანვარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს ანტონინ ნოვოტნის, რომელიც მოსკოვში მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით.

შეხვედრაზე საბჭოთა კავშირის მხრივ მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. ანდროპოვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში ს. ვ. ჩერვონენკო; ჩეხოსლოვაკიის მხრივ — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ალექსანდრ დუბჩეკი; ჩეხოსლოვაკიის ეროვნული ფრონტის ეროვნული კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი დრაგომირ კოლდერი და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ოლდრიხ პავლოვსკი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ხელმძღვანელებმა ერთმანეთს მიაწოდეს ინფორმაცია, თუ როგორ მიმდინარეობს კომუნისტური და სოციალისტური მშენებლობა ორივე ქვეყანაში, განიხილეს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ურთიერთობის მთელი რიგი საკითხები და ერთმანეთს გაუზიარეს აზრები თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

ორივე მხარემ მაყოფილებით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ძმური მეგობრობა და ყოველმხრივი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობა განუწყვეტლივ ვითარდება და მტკიცდება. ეს ურთიერთობა შეესაბამება საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხების ძირეულ ინტერესებს, ყველა სოციალისტური ქვეყნის ინტერესებს, ხელს უწყობს ისტორიული ამოცანის გადაწყვეტას — კომუნიზმის აშენებას, მშვიდობისა, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალთა განმტკიცებას.

აზრთა ურთიერთგაზიარების დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და ჩეხოსლოვაკიის კომპარტია სავსებით ერთხაირ შეხედულებებს ადგანან თანამედროვე საერთაშორისო ვითარებისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მდგომარეობის შეფასებაში. ორივე მხარემ გამოთქვა მტკიცე გადაწყვეტილება ყველაზე ყოველი ღონე იხმაროს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შეკავშირებისა და ერთიანობის განმტკიცებისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და მომავ პატრიოტის, მიერ ერთად შემუშავებული დოკუმენტების პრინციპების სიფრთხილეთ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ხელმძღვანელთა შეხვედრამ და საუბარმა ძმური მეგობრობის, გულითადობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა.

• • •

იმავე დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტ-ს პრეზიდიუმმა კრემლის დიდ სასახლეში სადილი გაუმართა ჩეხოსლოვაკიელ მეგობრებს, რომლებიც მეგობრული ვიზიტით იმყოფებიან მოსკოვში.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ანტონინ ნოვოტნიმ მოკლე სიტყვები წარმოთქვეს.

სადილმა გულითადობის ვითარებაში ჩაიარა.

• • •

20 იანვარს ამხანაგები ანტონინ ნოვოტნი და ოლდრიხ გენდრიხი სამშობლოში გაემგზავრნენ. (საკდესი).

იაპონიის მინისტრი ეწვია ნ. ვ. პოდგორნის

21 **იანვარს** იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი ეცუსაბურო სიინა კრემლში ეწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნისს.

ნ. ვ. პოდგორნისა და ეცუსაბურო სიინას შორის მეგობრული საუბარი გაიმართა. (საკდესი).

ხელი მოანერეს შეთანხმებას

21 **იანვარს** მოსკოვში ხელი მოაწერეს სსრ კავშირისა და იაპონიის საგარეო შეთანხმებას, აგრეთვე შეთანხმებას მოსკოვ-ტოკიოს პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის შესახებ.

დოკუმენტებს ხელი მოაწერეს იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ეცუსაბურო სიინამ, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ნ. ს. პატოლიჩევმა და სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის მინისტრმა ე. თ. ლოგინოვმა. (საკდესი).

ჩრდილოეთის კურსით

20 **იანვარს** ვლადივოსტოკიდან ოხოტის ზღვის ჩრდილოეთისაკენ გაემართა მძლავრი ყინულმტეხელი „მოსკოვი“. იქ იგი ყინულებში გზას გაუკაფავს საზღვაო გემებს ნაგაევოს ნავსადგურში. ყინულმტეხელის ეკიპაჟს აგრეთვე დავალებული აქვს გზად შეეგდეს სახალინის ყურეში და გამოიყვანოს ყინულებში ჩარჩენილი დიზელ-ელმავალი „პენჟინა“ და თბომავალი „კრასნოგორსკელენი“.

ყინულმტეხელზე არის ვერტმფრენიაე, რომლითაც გემის მოძრაობის დროს იწარმოებს კურსის დაზვერვა. (საკდესის კორ.).

დიდი ბელადის უკვდავი სახე

საბჭოთა საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია ვ. ი. ლენინის ძეგლის საკონკურსო პროექტების გამოფენამ, რომელიც მოსკოვში, „მოსპროექტის“ სახლის დარბაზებში გაიხსნა. ძეგლი დაიდგმება კრემლის ტერიტორიაზე ოქტომბრის რევოლუციის 50-ე წლისთავისათვის.

ნახევარი წლის წინათ გამოცხადებულმა კონკურსმა ბევრი საბჭოთა მოქანდაკე და არქიტექტორი მიიზიდა. ავტორთა 37 კოლექტივმა 57 პროექტი წარადგინა. მათი უმრავლესობა ეანირჩევა ბელადის სახის გადაწყვეტის ორიგინალობით. ავტორები ლენინს წარმოგვისახავენ დიდ მოაზროვნე-მუშანისტად და უბრალო ადამიანად. უკვე ახლა თამამად შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ფავორიტი პროექტი. ესენია უწინარეს ყოვლისა გ. იოკუბონისის, ა. ციბალნიკოვისა და ვ. პროტკოვის, ბ. ბონდარენკოს და მ. მერაბიშვილის ნამუშევრები.

ლენინი - მოაზროვნე — ასეთია მოქანდაკე ბ. ბონდარენკოს და არქიტექტორ ვ. კლიმოვის ძეგლის იდეა. ძეგლისაკენ, რომელზეც ვლადიმერ ილიას-ძე გამოსახულია კრემლის ტაინიკის ბაღში მჯდომარედ. მიდის ხეივნები მაცხოვრის ოთხკუთხედან და ყრილობათა სახახლედან. ხეივნის ცენტრში, ძეგლის ახლოს ანთია „მარადიული ცეცხლი“.

გ. იოკუბონისის წინადადებაა ვ. ი. ლენინის ძეგლი დაიდგას კრემლის ბაღის სიღრმეში. ვლადიმერ ილიას-ძე გამოსახულია დასვენების წუთში.

დასვენებაც მომენტში გამოუსახავთ ბელადი ა. ციბალნიკოვსა და ვ. პროტკოვს. მათი ნამუშევარი ადამიანს ბიბლიას ლეონარდოს ლობითა და გულთბილობით. ვლადიმერ ილიას-ძე ლაღად ზის სკამზე გორკაში. მთელი მისი ფიგურიდან არაჩვეულებრივი ლმობიერება და სითბო გამოსჭვივის.

მერაბ მერაბიშვილს წარდგენილი აქვს ძეგლის სამი ვარიანტი. დიდ ინტერესს იწვევს პროექტი, სადაც ვ. ი. ლენინი გამოსახულია მთელი ტანით, ქარზე მდგომი. მერაბიშვილის გამოძერწილი ვ. ი. ლენინი უდიდესი ნებისყოფის, დიდი ძალის ადამიანია და ამავე დროს არაჩვეულებრივად ადამიანური, ჩვენთვის მახლობელი. საუბარში საქმესირტა კომისიის წევრმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა ი. კოლპინსკიმ აღნიშნა, რომ ეს პროექტი მთავარი პრეზის ერთ-ერთი უველაზე შესაძლებელი პრეტენდენტია.

კონკურსის შედეგები ძალიან მალე გახდება ცნობილი. სსრ კავშირის კულტურის სამინისტრო და სსრ კავშირის მხატვართა კავშირი უახლოეს დღეებში მოაწყობენ ვ. ი. ლენინის ძეგლის პროექტების საზოგადოებრივ განხილვას. საუკეთესო პროექტებს განიხილავს ეიური.

ვ. ქაჯაია.

• • •

სურათზე: გამოფენის ერთ-ერთ დარბაზში. წინა პლანზე — ძეგლის პროექტი, რომელიც შექმნეს მოქანდაკეებმა ლ. ე. კერბელმა და ვ. ი. ბუიაკინმა და არქიტექტორებმა ვ. ნ. დატიუკმა და ს. ს. ფეოქტისტოვმა.

ფოტო **ნ. გრანოვსკისა** (საკდესის ფოტოქრონიკა).

ჯილდოები ღირსეულთ

შეჯამდა ამიერკავკასიის მაგისტრალის 1965 წლის მეოთხე კვარტალის მუშაობის შედეგები. ეს შედეგები ცხადყოფენ თუ რა დიდ საწარმოო წარმატებებს მიაღწიეს რკინიგზელებმა შეჯიბრებაში სკკპ XXIII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. მაგისტრალის კოლექტივმა რვა დღით ადრე შეასრულა დაკვეთითგანაკეთი ტვირთბიდვის წლიური გეგმა და გადაჭარბებით გაანალდა სხვა ვალდებულებანიც, რომლებიც კომუნისტური შრომისათვის შეჯიბრებაში იკისრა. კომუნისტური შრომის კოლექტივების ს

ინსტრუქტორი სოფლისაკენ მიიჩქარის

ქრებას ორმოცამდე კომუნისტი ესწრებოდა, დარბაზი კი წაიგავდა ქარხანასაგან ამბობჯრებულ ტყეს. ხალხის უმაყოფილება დიდი იყო. ძარტიული ორგანიზაციის მდივანი, კოლმეურნეობის მესვეურნი თავს ვერ აღწევდნენ მკაცრ და სამართლიან ბრალდებებს.

— რაგომ უნდა ჩამოვრჩებოდეთ მეზობელ სოფლებს? რატომ უნდა იყოს ჩვენთან ჩაის, ციტრუსის დაბალი მოსავალი?

— არც პირუტყვს აქცევთ საჭირო ყურადღებას. ამტომაც არის, რომ ფერხა ზარალს გვაძლევს!..

— სოფელში არიან ისეთები, რომლებიც თავს არიდებენ საკოლმეურნეო შრომას. მაგალითად, მ. კონცელიძეს გამომუშავებული აქვს 13, ხოლო ა. იმნაძეს 31 შრომადღე. როგორ შეასრულებს ბრიგადის გეგმებს, თუ კი ყველანი მხარში არ ამოიდგებიან?

— არა, ამხანაგებო, ასე ფონს ვერ გავალთ. გამგეობის ყველა წევრი კოლმეურნეობას კარგად რომ ხელმძღვანელობდეს, ისეთი ენერგიული ხალხი გვყავს, ისეთი პირველხარისხოვანი ფერთობები გვაქვს, რომ სარეკორდო მოსავალს მოვიყვანდით, მაგრამ...

რაიკომის ინსტრუქტორი ვ. ჩხარტიშვილი ყურადღებით ისმენდა თვითეულ რეპლიკას, თვითეული მოკამათის გამოსვლას და შენიშვნებს უბის წიგნაკში იწერდა. კრებაზე ნათელი გახდა, რომ პარტიული ბიურო თავს ვერ არომევდა დაკისრებულ მოვალეობას, ორგანიზაციაში დაბალ დონეზე იდგა პარტიულ-პროპაგანდისტული მუშაობა, ცუდად იყო განწილებული პარტიული დავალებები, კოლმეურნეობა ვერცერთ დარგში გეგმას ვერ ასრულებდა. ვალერიანს კოლმეურნეობის მრავალი მტკივნეული საკითხი არაერთხელ გაუზღია მსჯელობის საგნად, დაესახავს კონკრეტული ღონისძიებები, მაგრამ საქმეს მაინც არაფერი ეშველა. ამტომაც იყო, რომ სამართლიანად მიიჩნდა ბევრი კომუნისტის აზრი არა მარტო პარტიული ბიუროს, არამედ კოლმეურნეობის ხელმძღვანელთა შეცვლაზეც. გაბედულად შეიძლებოდა იმათი დაწინაურება, რომლებმაც ორგანიზატორული ნიჭი გამოავლინეს და პატიოსანი შრომით ხალხის სიყვარული მოიხვეჭეს.

ეს მოხდა ქობულეთის რაიონის სოფელ ხალაში 1964 წლის მიწურულს.

პარტიული კრების შემდეგ, როცა ვალერიანი სახლში ბრუნდებოდა, თან გამოჰყვა ფიქრი ხალელ კოლმეურნეებზე, ახალარჩეულ ბიუროზე.

წლებს მანძილზე ვალერიანმა სამეურნეო და პარტიული მუშაობის საკმაო გამოცდილება შეიძინა. ჯერ იყო და კოლმეურნეობის მთავარ აგრონომად მუშაობდა, დაეუფლა მეურნეობის გაძღოლის, შრომის ორგანიზაციის, მაღალი მოსავლის მოყვანის მეთოდებს, შეეთვისა მშრომელებს. შემდეგ რაიკომის ინსტრუქტორად გადაიყვანეს და მთელი ზონა ჩაუბარეს. აგერ ხუთი წელია ისე დასტრიალებს თავს ზონის 9 კოლმეურნეობასა და 3 საბჭოთა მეურნეობას, როგორც საკუთარ ოჯახს, გაეცნო ადამიანებს. იცის, ვის უჭირს და ვის ულხინს, მზად არის ყველას დახმარების ხელი გაუწოდოს.

მდგომარეობა, საქმე ათასნაირი შეხედულებისა და ხასიათის ადამიანთან შეგვიგენდეს. ყველას უნდა დაუკვირდე, შეიძლება ზოგიერთმა უკეთეს გზაზე დაგაყენოს. ამავე დროს მუდამ მზად უნდა იყო აღზარდო და დაეხმარო ხალხს, რადგან ასეთი კავშირი თუ არა აქვს, არ არსებობს ჭეშმარიტი ხელმძღვანელი. პარტიული მუშაკი, უპირველეს ყოვლისა, მასების აღმზრდელია და მჭიდროდ უნდა იყოს ადამიანებთან დაკავშირებული. ასეთი პრინციპით მუშაობს ვალერიანი, ასეთი პრინციპით მიუდგა იგი ხალხელ მშრომელებს.

მან გადაწყვიტა მთელი შესაძლებლობით მხარში ამოსდგომოდა ხალელებს, კოლმეურნეობაში ისე წარემართა სამეურნეო და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, რომ უახლოეს ერთ წელიწადში გამოესწორებინათ ჩამორჩენა. პირველ რიგში დახმარების ხელი გაუწოდა ახალარჩეულ ბიუროს, ასწავლა როგორ დაერაზმა აქტივი, როგორ მოემზადებინა კრებები, რა საკითხებზე გაემახვილებინა ყურადღება. შემდეგ მოიხახულა ის ხალხი, ვინც თავს არიდებდა საკოლმეურნეო შრომას.

გამოცდილი მუშაკის თავისებურმა მიდგომამ, შთამაგონებელმა ახსნა-განმარტებამ და რჩევა-დარიგებამ შედეგი გამოიღო. ვალერიანი არც ელოდა, მ. კონცელიძე, ა. იმნაძე და სხვები ასე ერთბაშად თუ დაჰყვებოდნენ მის სიტყვას.

— როგორ იქნება სოფლის საქმეს გადოვკლდე. ერთი დღეც არ მინდა ჩემს მეზობლებს, ჩვენს ხალხს გამოვეთაშო,— ასე თქვეს და სიტყვა საქმით განამტკიცეს.

მაგრამ აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებზეც არ გასჭრა ახსნა-განმარტებამ, რომლებსაც სოფლის საზრუნავი საკუთარ საქმედ არ მიაჩნდათ. ასეთი ადამიანები ხელს არ იღებდნენ იმაზე, რომ საკარმიდამო ნაკვეთში მოყვანილი ციტრუსები და ხილი შორეულ ბაზრებზე გაეტანათ. მამასისხლად გაეყიდათ და ასე აღებ-მიცემობით ეცხოვრათ. აქ საჭირო გახდა მეტი მომთხოვნელობა და პირდაპირობა. რატომ უნდა ესარგებლათ კოლმეურნეობის ყოველგვარი სიკეთით ისეთ ადამიანებს, რომლებსაც სოფლის სატკივარი ძარღვს ოდნავადაც არ შეუტოკებდა? საკითხი დაისვა, ასეთები გაერიცხათ კოლმეურნეობიდან და მათთვის შეეფცირებინათ საკარმიდამო ნაკვეთი.

ვალერიანი მტკიცედ გამყვა კიდევ ერთ ბეშმარიტებას. მან გამოცდილებით იცოდა, რომ სამეურნეო წარმატებებს აღწევენ ის ორგანიზაციები, სადაც მაღალია მშრომელთა შეგნებულობა, სადაც კარგად დგას პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. ამიტომაც ცდილობდა ყველა პარტიული კრება. ყველა პოლიტსკოლის მეცადინეობა ყოფილიყო ახლის მომცემი, ცოდნის გამაღრმავებელი. იგი ეხვრეწოდა მეცადინეობას და თვითონაც მონაწილეობდა წამოჭრილი საკითხების განხილვაში.

ბაზაფხულზე, როცა ვალერიანი ხალის პლანტაციებში გავიდა, უმალვე თვალში მოხვდა, რომ სამუშაოზე უმთავრესად ქალები და ხნიერი მამაკაცები იყვნენ. სადღა გაქრა სოფლის ახალგაზრდობა? ხეტიალობენ? შრომას გაურბიან? ე. ი. მათ არ ესმით შრომის ფასი, არ გაუცდიათ ის სიამოვნება, რასაც შრომის შედეგი იძლევა. გარდა ამისა, განა ცოტაა ისეთი მშობელი, რომელიც შვილს ანებივრებს? რაკი ეკონომიურად არ უჭირს, გარჯასაც არ აჩვევს, ის კი არ იცის, რომ ხეტიალსა და უქნარობას ახალგაზრდა ხშირად დანაშაულობამდე მიჰყავს. ყველასათვის ცნობილია, რომ ახალი ადამიანი შრომაში ყალიბდება. შრომელი ადამიანი ცხოვრებაში უფრო ადვილად იკაფავს გზას, შრომა აკეთილშობილებს და აფაქიზებს სულს. ახალგაზრდობის შრომის ფერხულში ჩასაბმელად მთავარი როლი კომკავშრომა უნდა შეასრულოს. მან უნდა გამონახოს ბეშმარიტი გზა თვითეული ახალგაზრდის გულისკენ, გონებისაკენ... და ვალერიანი მუშობას იწყებს ახალგაზრდობასთან, კომკავშირელებთან. პირადად ეცნობა აქტივისტებსაც და ჩამორჩენილებსაც.

ისეთი შთაბეჭდილება არ შეიქმნას, თითქოს ინსტრუქტორი მხოლოდ სოფელ ხალას ეხმარება. მის ზონაში 40 პარტიული ორგანიზაციაა, რომლებშიც 700-მდე წევრი ირიცხება. კომუნისტები ზონის მთავარი, წამმართველი ბირთვია. მათ ირგვლივ შემოკრებილი პყავთ აქტივი, მოწინავე კოლმეურნეები და მუშები, სოფლის მოწინავე ინტელიგენცია. იშვიათად გამოერევა ისეთი თვე, რომ ვალერიანი ყველა ორგანიზაციაში არ მივიდეს.

ადვილი როდია გაუწყდე ასეთ დიდ ზონას. საქმე კი უამრავია. ზოგჯერ სადავო საკითხიც წამოიჭრება, რომელიც ადგილზე მისვლით უნდა გადაწყდეს. მაგალითად, ქვედა აჭყვის კოლმეურნეობის ახალგაზრდები ითხოვდნენ სასპორტო მოედნისათვის ადგილი გამოენახათ და კეთილმოეწყოთ. როგორც ჩანს, კოლმეურნეობის მესვეურებს კარგად არ ესმოდათ ახალგაზრდების გულისთქმა (გადაცილებულნი იყვნენ ამ ასაკს). ენინებოდათ ნაკვეთის დათმობა და ფულის დახარჯვა. ადგილზე რომ ვერაფერი გაეწყვეს, ახალგაზრდები იძულებული გახდნენ დახმარება რაიკომისათვის ეთხოვნათ. საქმეში ვალერიანი ჩაერია, ადგილიც გამოინახა, და კომკავშრელებიც კმაყოფილნი დარჩნენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა პარტიულ ორგანიზაციებს გადაუდებელ ამოცანად დაუსახა მშრომელებისათვის ღრმად განმარტათ პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების უდიდესი მნიშვნელობა. პარტიული ორგანიზაციები უნდა დახმარებოდნენ თვითეულ მშრომელს თავისი ადგილი ეპოვნა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის მებრძოლთა რიგებში. ვ. ჩხარტიშვილმა საგრძნობი მუშაობა გასწია, რომ ზონის პარტიულ ორგანიზაციებს წარმატებით გაერთმიათ თავი ახალი ამოცანებისათვის.

ვალერიანს გამარჯვების ერთ-ერთ საწინდრად მიაჩნია კადრების სწორად განაწილება, გადამწყვეტ უბნებზე მოხინავე, უნარიანი კომუნისტების დანიშვნა. ანის საუკეთესო მაგალითს იძლევა ჩაისუბნის კოლმეურნეობა, სადაც ყველა ბრიგადას კომუნისტი ხელმძღვანელობს. მათმა თაოსნობამ, თვითეულის თავდადებულმა შრომამ, ბრიგადებსა და რგოლებს შორის გაჩაღებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ მნიშვნელოვნად გაზარდა შრომის ნაყოფიერება.

ვალერიანი მხარდამხარ მიჰყვება ცხოვრებას და ცდილობს ეს თვისება გადასცეს პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, ადგილობრივ აქტივს. მისი უშუალო მონაწილეობით აჭყვაში, ციხისძირში, ქვედა ულიანოვკაში და სხვა კოლმეურნეობებში შეიქმნა მოწინავე გამოცდილების სკოლები. აღნიშნულმა სკოლებმა დიდი წარმატება მოიპოვეს. მათი გამოცდილება მთელ რაიონში გავრცელდა.

ზაფხულში არახელსაყრელმა ამინდმა თავისი კვალი დაჩნია ჩაის მოსავალს, იყო მეურნეობები, რომლებსაც უძნელდებოდათ გეგმის შესრულება. აქ გამოჩნდა ვალერიანის საუარგებლო წინადადება. მან ურჩია მეურნეობის ხელმძღვანელებს მატერიალური წახალისების მიზნით შრომის ნორმები დაეწესებინათ ამინდის მიხედვით. ამ წინადადებამ გამარჯვება მპოვა და გავრცელდა ოლქის მთელ სუბტროპიკულ ზონაში.

რაიონში განსაკუთრებული წარმატება ხვდა ვ. ჩხარტიშვილის ზონის კოლეუოხეოებსა და საბჭოთა მეურეოეობებს. მათ გადაჭაობებით შეასოფლეს ჩაის კრეფის გეგმა. ქვედა აჭყვასი საშუალო სოსავალია ჰექტარიდე მიიღეთ 7.234 კილოგრამამდე, ქვედა ულიანოვკაში — 6.416 კილოგრამს. ციტრუსებიანი ისეთი უხვი სოსავალი მიიღეს, როგორიც არ ყოფილა ბოლო 15 წლია განმავლობაში. ათასა მი კოლმეურნეოოა: ჩაისუბანი, ქვედა ულიანოვკა და ქვედა აჭყვა იბრძვიან კოსუუთისტეოი ძროთის მეურნეობათა საელის მოპოვებისათვის.

ხალა კი... ვალერიანი ახლაც ხალასაკენ ეიჩქარის. ეი ავტომანქანა გაარერა ველლობზე და გადახედა მდინარე ჩაკვის ხეოთაში გაშენებულ სოფელს. თვალწინ მიმზიდველი სურათი გადაეშალა. დაბლობში თასმასავით დგარეხილიეო ლოდებზე ამღერებული მდინარე, უფრო ზევით მოჩანდა ფერდობზე შეფეხილი ჩაის პლანტაციები, ციტრუსის ბეებით დაფარული გორაკები. ხეივნებში ჩადგმული ქვიტკირის ოდა-სახლები. სოფლის მთელი ეს სილამაზე გლეხკაცს გამოჯე მარჯვენამ მოხატა.

ხალა—რა ლამაზი სოფელი ყოფილა. რამდენიმე თვის წინათ როცა აქეთ ეოდიოდა, ეს სილამაზე ერთხელაც არ უგრძვნია. მაშინ მისი გონება ხალელთა ჩამორჩენით აღძრულ ფიქრებს შეეპყრო, ახლა კი... თითქოს მძიმედ დატვირთულმა ურემმა ფონს თავი დააღწია და გაიმანდვრაო, ყველა უსიამოვნება უკან დარჩა. ხალამ 129 პროცენტით შეასრულა ჩაის კრეფის გეგმა, მარშანდელთან შედარებით მოსავლიანობა ჰექტარზე 800 კილოგრამით გაზარდა. დიდი იყო ციტრუსების მოსავალი, წარმატება აქვთ მეცხოველეობაში. მ. კონცელიძეს, ა. იმნაძეს და სხვებს, რომლებიც წინათ საერთო საქმეს გაურბოდნენ, ახლა ალარავინ ესაყვედურება, თვითეულმა სამასამდე შრომადღე გამოიმუშავა. ბრიგადებში შექმნილმა პარტიულმა ჯგუფებმაც დიდი როლი შეასრულეს...

ხალელთა მიღწევები აშკარაა, მაგრამ მათ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გააკეთონ, მოწინავეთა რიგებში რომ ჩადგნენ. ეს კარგად ესმით სოფლის მესვეურებს, თვითეულ კოლმეურნეს.

ვ. ჩხარტიშვილის სისხლსავსე, ინიციატივიანი, ორგანიზატორული მუშაობა განაზოგადა პარტიის აჭარის სოფლის კომიტეტმა. მისი თავდადებული უანგარო შრომა მისაბაძია სხვებისათვის.

მაგრამ მიღწეული ზღვარი როდია ვალერიანისათვის. ჯერ რამდენი სიძნელეა დასაძლევი, რამდენი ზღუდეა ასაღები!

მ. გოგრგილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

სურათზე: ვ. ჩხარტიშვილი.

ელექტრომექანიკოსები— ენგურჰესის მშენებლები

ქუთაისი. (საკ. კორ.). სასარგებლო საქმე ითავეს ქუთაისელმა ელექტრომექანიკოსებმა, მათ გადაწყვიტეს მჭიდრო საქმიანი მეგობრობა დაამყარონ ენგურჰესის მშენებლებთან.

ამას წინათ ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის დელეგაცია ეწვია მშენებლებს. დელეგაციას თან ახლდნენ ქარხნის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, მუშა სპორტსმენები. ორი კოლექტივის შეხვედრა ნამდვილ ზეიმად, დიდი მეგობრობის დასაწყისად გადაიქცა. ელექტრომექანიკოსებმა ქარხნის კოლექტივის დელეგაციებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ენგურჰესის მშენებლები. მასპინძლებმა სიხარულით მიიღეს ეს გამოწვევა.

გუშინ საქალაქო და რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე

გუშინ გაიმართა ქუთაისის, გორის, ტყვარჩელის საქალაქო და მახარაძის, ზესტაფონის, სილნალის, სოხუმის, საჩხერის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, გულრიფშის რაიონული პარტიული კონფერენციები.

ქუთაისი. საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი შ. კობახიძე.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა პ. როდიონოვმა.

გაიმართა პლენუმი, რომელმაც საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივად აირჩია შ. კობახიძე, მეორე მდივად — ს. სიხარულიძე, მდივად — თ. ვარდანაშვილი.

გორი. პარტიის საქალაქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენებით კონფერენციაზე გამოვიდა საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი შ. ბერიანიძე.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა რ. ფრუნიძემ.

პლენუმმა საქართველოს კპ გორის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივად აირჩია შ. ბერიანიძე, მეორე მდივად — ო. სოხანიძე, მდივად — რ. ცუცქირიძე.

მახარაძე. რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კპ მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ა. თოიძე.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ძოწენიძემ.

გაიმართა პლენუმი. საქართველოს კპ მახარაძის რაიკომის პირველ მდივად არჩეულია ა. თოიძე, მეორე მდივად — მ. ლომაძე, მდივად — ნ. მდინარაძე.

ზესტაფონი. კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა პარტიის რაიკომის პირველი მდივანი შ. ერუულაშვილი.

კონფერენციის შემდეგ გაიმართა პლენუმი, რომელმაც საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომის პირველ მდივად აირჩია შ. ერუულაშვილი, მეორე მდივად — ბ. სარალიძე, მდივად — ზ. ფერაძე.

სილნალი. რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენება გააკეთა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. გელაშვილმა.

პლენუმმა საქართველოს კპ სილნალის რაიკომის პირველ მდივად აირჩია დ. გელაშვილი, მეორე მდივად, — ვ. ყანდაშვილი, მდივად — რ. აბულაშვილი.

სოხუმი. ახლადშექმნილი რაიონის პარტიულ კონფერენციაზე მოხსენებით — „რაიონული პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში" — გამოვიდა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. კობახია.

კონფერენციის შემდეგ გაიმართა პლენუმი. საქართველოს კპ სოხუმის რაიკომის პირველ მდივად არჩეულია ვ. კოკაია, მეორე მდივად — ხ. მალანია.

საჩხერე. კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენება გააკეთა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა პ. ნოზაძემ.

პლენუმმა საქართველოს კპ საჩხერის რაიკომის პირველ მდივად აირჩია პ. ნოზაძე, მეორე მდივად — ზ. ივანიშვილი.

ჩოხატაური. პარტიულ კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენება გააკეთა პარტიის ჩოხატაურის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. კვინტრაძემ.

პლენუმმა საქართველოს კპ ჩოხატაურის რაიკომის პირველ მდივად აირჩია რ. კვინტრაძე, მეორე მდივად — ტ. ჩხეიკაძე.

ჩხოროწყუ. კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა პარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველი მდივანი დ. ჯიჯელავა.

კონფერენციის შემდეგ გაიმართა პლენუმი, რომელმაც საქართველოს კპ ჩხოროწყუს რაიკომის პირველ მდივად აირჩია დ. ჯიჯელავა, მეორე მდივად — ე. გოგუა.

ტყვარჩელი. საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე მოხსენება გააკეთა პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ლ. ქვარანძიამ.

პლენუმმა საქართველოს კპ ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივად აირჩია ლ. ქვარანძია, მეორე მდივად, — ი. ლეკვეიშვილი, მდივანად—ნ. მისოჩენკო.

გულრიფში. რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე მოხსენება გააკეთა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ხ. ჯიქიამ.

გაიმართა პლენუმი. საქართველოს კპ გულრიფშის რაიკომის პირველ მდივად აირჩეულია ხ. ჯიქია, მეორე მდივად — ო. გიუველიანი.

თბილისის საკონდიტრო კომბინატის ნაწარმი თავისი მაღალი ხარისხით აკმაყოფილებს მშრომელთა მოთხოვნილებას. კარგად იშრომა შარშან ამ კომბინატის კოლექტივმა და გეგმის გადამეტებით 180 ტონა ნაწარმი გამოუშვა.

კომბინატის ამ საერთო წარმატებაში თავისი შრომითი წვლილი შეაქვს კომუნისტური შრომის საკოლოფე საამქროს მუშას ნარგიზა ციცაშვილს, რომელიც გეგმას სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს, შრომას კარგად უთავსებს სწავლას და თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კვების მრეწველობის ფაკულტეტზე ერთ-ერთ მოწინავე სტუდენტად ითვლება.

სურათზე: ნარგიზა ციცაშვილი.

ფოტო ს. კილაძისა.

გუშინდელი ფოსტიდან

□ **ფოთი.** ზღვისპირა ქალაქის ცენტრალური ნაწილი დაამშვენეს სამსართულიანმა შენობამ, რომელშიც მოთავსდნენ პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტი, საქალაქო საბჭოს აღმასკომი, სახალხო კონტროლისა და კომკავშირის საქალაქო კომიტეტები.

კ. კომპახიძე.

□ **ასპინძა.** სოფელ აწყვიტის რვაწლიანი სკოლა საზეიმო ვითარებაში გადაეცა საექსპლოატაციოდ. ახალ სკოლას აქვს ნათელი საკლასო ოთახები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, პიონერთა თათახი. მესამე მეოთხედიდან აწყვიტელი მოსწავლეები ერთ ცვლად მეცადინეობენ და გადავიდნენ.

შ. გიორგაძე.

□ **თიანეთი.** აქ მოეწყო მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სამეცნიერო სესია. თიანეთის რაიონში საკოლმეურნეო მშენებლობის ისტორიას მიუძღვნა თავისი მოხსენება საქართველოს კომპარტიის თიანეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. მგელაშვილმა. საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს ვ. აბრამიშვილმა, ვ. ხარანაულმა, გ. ლომთათიძემ და რ. რამიშვილმა.

ხ. ჯორბენაძე.

□ **ზესტაფონი.** საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ზესტაფონის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის სტუდენტთა შორის 135 კაცი ფეროშენადნობ თა ქარხნის მუშა-მოსამსახურეა. შრომასა და სწავლაში თავი გამოიჩინეს ბრიგადირმა ე. ღვინჯილიამ, პულტის მემანქანემ მ. კოპალეიშვილმა, ელექტრიკოსმა მ. გორგაძემ.

ბ. გველესიანი.

ბაკურიანი ბოკვლა

სკკპ ცკ-ის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი—ცხოვრებაში!

ხვალ უკეთ, ვიდრე დღეს!

ახალი წლის პირველი თვე იწურება. როგორ გარდაქმნით მუშაობა ისე, რომ მომავალ კვირათა და თვეთა ყოველი დღე გადაექციოთ ახალ-ახალ წარმატებათა და მიღწევათა დღეებად, საწარმოო შემოქმედებითი შრომის რიტმის გაძლიერების, რენტაბელობის ზრდის ახალ საფეხურებზე აყვანის თარიღებად?

ამ საკითხებზე მსჯელობდნენ თბილისელი ელმავალმშენებლები თავიანთ ეკონომიურ კონფერენციაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის სხდომათა დარბაზში. დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი: სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებები და ჩვენი კოლექტივის ამოცანები სამეურნეო ანგარიშის სრულყოფის უზრუნველყოფაზე.

თავდასაწყისში უნდა აღინიშნოს, რომ კონფერენციის მუშაობას მკაფიოდ დაეტყო საქართველო პარტიული ორგანიზაციის კარგი მაორგანიზებელი ხელი, იგი ჩატარდა მაღალი აქტივობით, პირუთვნელი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით.

რაშია საქმე, რატომ გახდა მთელი ქარხნის, მისი საამქროების, მისი სხვადასხვა სამსახურის, საწარმოო უბნის, ბრიგადის, ყოველი სამუშაო პოზიციის სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა ელმავალმშენებელთა ასეთი მხურვალე მსჯელობის საგნად? საყოველთაო არის ცნობილი, რომ ამ ქარხანაში სამეურნეო ანგარიში დანერგილია უკვე მოავალი წლის განმავლობაში, ელმავალთა წარმოება რენტაბელურია, ქარხნის კოლექტივი ცოდან როდი მუშაობს. მაშ რა აქვთ ელმავალმშენებლებს სადავო?

საქმე ის არის, რომ ამ ქარხნის კოლექტივს კიდევ უფრო კარგად შეუძლია იმუშაოს, კიდევ უფრო მეტი მისცეს საამშობლოს, უკეთესი წარმატებები მოიპოვოს, ამას რომ ხელს არ უშლიდეს სამეურნეო ანგარიშის მეთოდში თავიდანვე დაშვებული ის მანკიერებანი, რომლებზეც სექტემბრის პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება შეაჩერა.

1965 წელს თბილისელმა ელმავალმშენებლებმა მარტო წუნდებული პროდუქციის გამოშვებით 50 ათასი მანეთი ზარალი ნახეს, ხოლო უხარისხო და უკონდიციო მასალების მიღებით, რაც შეუძლებელს ხდიდა მაღალხარისხოვანი ელმავლო დეტალების გამოშვებას, იზარალეს 80 ათასი მანეთი. სამეურნეო ანგარიშის პრინციპი კი მოითხოვს წუნის ლიკვიდაციას, ყოველ შემთხვევაში, მის შემცირებას მინიმუმამდე, რადგან წუნი ხელს უშლის პროდუქციის რეალიზაციის საქმეს, მაშასადამე, იწვევს ხარჯების გადიდებას, შემოსავალზე გასავლის გადაჭარბებას, რენტაბელობის ჩაშლას.

რატომ მოხდა ასე? — აყენებდნენ კითხვას კონფერენციაზე გამოსული ორატორები და იქვე თვითონ უპასუხებდნენ: იმიტომ რომ მასალათა მიმღებნი დაინტერესებული არ იყვნენ ნედლეულის ხარისხით, უკონდიციო მასალების მოწოდება ცოდი დაგვიგვია და შემწოდებელთა უპასუხისმგებლობის შედეგი იყო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა აღიარებულია, რომ დაგვგვის, წარმოების ხელმძღვანელობისა და მატერიალური სტიმულირების მთელი სისტემა უნდა ემსახურებოდეს სახოგადოებრივი წარმოების განვითარებს, მისი ეფექტიანობის გადიდებას. საწარმოთა კოლექტივები უნდა დაეინტერესოთ საწარმოო ფონდების, მუშახელის, მატერიალური და ფინანსური რესურსების მიზანმეწონილად გამოყენებით, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით, რენტაბელობის ამაღლებით. მაგრამ თუ არ არის სტიმულირება, თუ არ არის სწორი დაგეგმვა, არ იქნება დაინტერესებაც, და ასეთ ვითარებაში სამეურნეო ანგარიშზე საწარმოს გადაყვანა ჯეროვან ეფექტს ვერ მოგცემს.

ამ საკითხებს შეეხებოდა ამ ქარხნის მთავარი ეკონომისტის, ბ. ვართანოვის მოხსენება და ქარხნის კომერციული სამსახურის უფროსის ბ. კვესელავის, მთავარი მექანიკოსის ამხ. მ. სარიკიანის, წარმოების უფროსის გ. ჩიტაიშვილის, ზეინკლების კომუნისტური შრომის ბრიგადირის ვ. პაპანაშვილის, მთავარი ტექნოლოგის მ. დოლიძის, სამსხმელო საამქროს უფროსის ვ. მახარაძის და სხვათა თანამოსაუბრეებები.

კონფერენციამ შეიმუშავა რეკომენდაციები ქარხნის საამქროებში, უბნებზე, ბრიგადებში იმ ღონისძიებათა განსახორციელებლად, რითაც უზრუნველყოფილი იქნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებისათვის ხორცის შესხმა, ამაღლდება წარმოების ეფექტურობა, გაუმჯობესდება არსებული რეზერვების გამოვლინება და გამოყენება, პროდუქციის ხარისხი და შრომის ნაყოფიერება, შემდგომ შემცირდება პროდუქციის თვითღირებულება, სამეურნეო ანგარიშის მეთოდით მთელი საწარმოს მუშაობა სრულ ნაყოფს მოგვცემს.

ბევრი საყურადღებო აზრი გამოთქვეს და საქმიანი წინადადება შემოტანეს ელმავალმშენებლებმა თავიანთი საწარმოს შემდგომი მუშაობის გასაუმჯობესებლად. ყოველი ეს წინადადება ასახვდა მათს ფიქრსა და სულისკვეთებას—იმუშაონ ხელ უკეთ, ვიდრე დღეს მუშაობენ.

წელს, იანვარში, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის კოლექტივი სამშობლოს, რეინიგზის სოციალისტურ ტრანსპორტს ამლეკეს ქართული მარკის მეათასე ელმავალს. კონფერენციის მოსაწვევი მჭუხარე ტაშით შეხვდნენ საწარმოს დირექტორის გ. სამხარაძის ამ განცხადებას და მოეწოდეს ელმავალმშენებელთა მრავალთასიან კოლექტივს ამ დიდებული საჩუქრით — მე-1.000 ქართული ელმავლის გამოშვებით აღნიშნონ საქართველოს კომპარტიის ქალაქ თბილისის ლენინის რაიონული პარტიული კონფერენცია, რომელიც მუშაობას დაიწყებს 28 იანვარს.

დ. ლომთაძე.

ფიქრები სერგოს სოფელზე

გთიან ამერეთში ბევრი ლამაზი სოფელია. ბევრ მათგანს საბჭოთა ადამიანმა შორს გაუთქვა სახელი. აიღეთ ნებისმიერი ჟუმანიტარული ენციკლოპედია, და იქ ამოიკითხავთ სოფელ ღორეშას. მას იცნობენ არა მარტო საქართველოში, არამედ შორს, ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. აქ არის სერგო ორჯონიკიძის სახლ-მუზეუმი, ისტორიული მემორიალი, რომელსაც საერთაშორისო სახელი აქვს.

სოფელი აღორძინდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში. მოასფალტებულია გზები. სოფელს ამშვენებს ს. ორჯონიკიძის სახლ-მუზეუმის შესანიშნავი შენობა, საშუალო სკოლები, კლუბები, საავადმყოფო, აფთიაქი... ჭყონა ადგილობრივი რადიოგადაცემები, აჭა-იქ ტელევიზორსაც შეიძლება მოეკრათ თვალი...

„ჩაწოდით, ნახეთ ჩვენი სოფელი. ბევრი კარგი გაკეთდა, ბევრი კიდევ გვიქმნია გასაკეთებელი. გვიჩრიეთ, დაგვეხმარეთ". ასეთი წერილი გამოგზავნა რედაქციაში ერთმა პედაგოგმა ღორეშიდან.

ღორეშა დიდია. სოფელი მთაგორიანია და უბნები საკმაოდ არის ერმანეთს დაშორებული. ამ სოფელში ჩასვლამ ჩვენთვის ნათელი გახადა, რომ სოფლის წინაშე მდგომი მტკივნეული საკითხები თავიანი სპეციფიკით ორნაწილად შეიძლება დავყოთ: საკითხები, რომელთა მოგვარება შეუძლიათ ადგილობრივ ხელმძღვანელებს, სოფლის საბჭოსა და კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს, პარტიის ორჯონიკიძის რაიკომსა და რაიაღმასკომს, და საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც ღორეშელებს რესპუბლიკური ორგანიზაციები უნდა დაეხმარონ.

ქვედა ღორეშაში ს. ორჯონიკიძის სახლ-მუზეუმისაკენ მიმავალ გზაზე ნახავთ დაწყებით სკოლას... საღორის გვერდით(!) ალბათ სწორად ამ ფაქტმა დააწერინა ბარათი რედაქციაში ღორეშელ პედაგოგს. სკოლიანა და საღორის ერთმანეთის გვერდით აშენება არც პედაგოგიურად, არც ეთიკურად, არც ესთეტიკურად არ არის გამართლებული. ეს ანბანური ჭეშმარიტებაა. ეს ძალიან კარგად ესმით ორჯონიკიძის რაიონშიც, მაგრამ ყველაფერი ძველებურად რჩება. ღორეშია დაწყებით სკოლაში ბავშვებს ესაუბრებიან მაღალი კულტურისა და წესრიგის შესახებ, ბავშვები კი სკოლის სანაბანებში ხედავენ უპატურობას და უწესრიგობას.

ეს საკითხი, ცხადია, ადგილზევე სასოფლო საბ

საქართველოს ხმა

ორგანული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის წარმომადგენლის მემორანდუმი უ ტანისადმი

ნიუ-იორკი, 21 იანვარი. (საკ.). სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნ. ტ. ფედორენკომ გუშინ გენერალურ მდივანს უ ტანს გაუგზავნა მემორანდუმი, რომელშიც აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირს სერიოზულად აწუხებს თანამდებობათა არასწორი განაწილება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში. მემორანდუმში ნათქვამია, რომ ამ აზრს იზიარებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სხვა სახელმწიფოებიც.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალურ—საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებათა რიცხვი ნათქვამია დოკუმენტში, 1965 წელს 1963 წელთან შედარებით არ შეცვლილა, ხოლო სსრ კავშირის ხვედრითი წონა სამდივნოს თანამშრომელთა საერთო რიცხვში ამ ხნის მანძილზე კიდევაც შემცირდა. დასავლეთის სახელმწიფოების მოქალაქეთა სიჭარბე განსაკუთრებით იჩენს თავს სამდივნოს ხელმძღვანელ თანამდებობათა განაწილებაში. მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში 160 ხელმძღვანელი მუშაკის საერთო რიცხვიდან დასავლეთის ქვეყნების მოქალაქეებს უკავიათ 60 პროცენტი, აქედან ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეებს— 36, ხოლო ინგლისის მოქალაქეებს — 20 პროცენტი. ასეთი განაწილება საშუალებას აძლევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური საქმიანობა გამოიყენონ იმ მიმართულებით, რომ სულ უფრო შეუწყონ ხელი დასავლეთის სახელმწიფოებისა და მათი მონოპოლიების შედეგად განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში, რაც არ შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებს.

საბჭოთა კავშირი რომ არ არის საკმაოდ წარმოდგენილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში, ნათქვამია მემორანდუმში, შედეგია მისი კადრის ორგანიზების პოლიტიკისა, რომლებიც შეუხედავად გენერალური ასამბლეის რეზოლუციისა, არ ცდილობენ ქმედითს ღონისძიებებს, რათა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში გადიდდეს იმ ქვეყნების მოქალაქეთა რიცხვი, რომლებიც არ არიან საკმაოდ წარმოდგენილი იქ. მაგალითად, 1965 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირმა დაახელა 150 კანდიდატი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებში სამუშაოდ. მაგრამ წლის დამლევისათვის ახალ პოსტებზე მიიღეს სულ 14 სპეციალისტი.

დოკუმენტში გამოთქმულია იმედი, რომ გენერალური მდივანი განახორციელებს ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა გამოსწორდეს შეუწყნარებელი მდგომარეობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებში თანამდებობათა განაწილებისა.

საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენისათვის

კარაკასი, 21 იანვარი. (საკ.). ვენესუელის ეროვნული კონგრესის დეპუტატთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ალფრედო ტაბერ მურსი გაზეთ „ნასიონალში" გამოქვეყნებულ სტატიაში მოითხოვს დაადგინონ ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან. „დადგა დრო, — წერს დეპუტატი, — დიპლომატიური ურთიერთობა დავამყაროთ მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან და ამით განვამტკიცოთ ვენესუელის ეროვნული სუვერენიტეტი. ამისათვის, გა-

მეგობრული ურთიერთობა ვიეტნამსა

ბელგრადი, 20 იანვარი. (საკ.). ამჟამად ვიეტნამის ომი მეტად სამი მაგალითია ახდენს მთელ საერთაშორისო ურთიერთობაზე, განსაკუთრებით ეს ეხება სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანს მ. ნიკეზიჩს. დღეს საკავშირო კრებაში ამ ბნის მანძილზე კიდევაც შემცირდა. დასავლეთის სახელმწიფოების მოქალაქეთა სიჭარბე განსაკუთრებით იჩენს თავს სამდივნოს ხელმძღვანელ თანამდებობათა განაწილებაში. მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში 160 ხელმძღვანელი მუშაკის საერთო რიცხვიდან დასავლეთის ქვეყნების მოქალაქეებს უკავიათ 60 პროცენტი, აქედან ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეებს— 36, ხოლო ინგლისის მოქალაქეებს — 20 პროცენტი. ასეთი განაწილება საშუალებას აძლევა გაერთიანებული ერების ორგა-

სანტიაგო კარილიოს განცხადება

კარაკასი, 20 იანვარი. (საკ.). ესპანეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანმა სანტიაგო კარილომ ... გამართულ პრეს-კონფერენციაზე აღნიშნა, რომ წელს სრულდება გენერალ ფრანკოსა და მისი კამარილის ფაშისტური ამბოხების წინააღმდეგ ესპანელი ხალხის ეროვნულ-რევოლუციური ომის დაწყების 30 წლისთავი. მან თქვა, რომ ეროვნული თანხმობის პოლიტიკამ, რომელიც კომპარტია ახორციელებს, დასაბამი მისცა ხალხის ყველა ფენის საერთო ბრძოლას ესპანეთში დემოკრატიის დამყარებისათვის.

„ფრანკოს მთავრობა, — განაცხადა სანტიაგო კარილომ, — სულ უფრო გარიყული ხდება. იგი უკვე იმდენად დასუსტდა, რომ შეგვიძლია დავიწყოთ ხელისუფლების ფაშისტური ფორმების ლიკვიდაცია. მან მაგალითად მოიყვანა ის ფაქტი, რომ ესპანელი მუშები საკმაო აქტიურობენ თავიანთ გაფიცვის უფლებას, სტუდენტები — კი კრებების თავისუფლების უფლებას. ამავე დროს ფრანკოს „პროფკავშირებმა" დაკარგეს გავლენა მშრომელ მასებში.

„ბაზაფხულის დღესასწაული" ჩინეთში

პეკინი, 21 იანვარი. საკ.სის კორესპონდენტი გ. არსლანოვი იუწყება:

დღეს ჩინეთში აღნიშნავენ „გაზაფხულის დღესასწაულს", რომელიც მოასწავებს ახალი წლის დაწყებას მთვარის კალენდრით. ეს არის ჩინელი ხალხის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ეროვნული დღესასწაული. პეკინში სახელმწიფო დაწესებულებათა და სამრეწველო საწარმოთა შენობები მორთულია პლაკატებით, რომლებზეც წარწერილია საახალწლო მილოცვები, დეკორაციული ფანრებით.

შემოღებული ტრადიციით „გაზაფხულის დღესასწაულის" წინადღით გაიმართა მოახლეობის შეხვედრა ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მეომრებთან.

ჩინეთის ქალაქებსა და სოფლებში იმართება თეატრალური წარმოდგენები, უჩვენებენ კინოფილმებს, ეწყობა მხატვრული თვითმოქმედების კონცერტები, სპორტული შეჯიბრებანი და სხვადასხვა ასპარეზობა. დღესასწაული სამ დღეს გასტანს.

... ...

ახალი ამბები • ცნობები

156 ავტომანქანა ლატარიით

მიმდინარე წლის საქართველოს ნივთებისა და ფულის ლატარიის პირობები რამდენადმე უფრო მიმზიდველი და ხელსაყრელია მოსახლეობისათვის. ჯერ ერთი, გათამაშდება გამოშვებული ლატარიის საერთო თანხის 60 პროცენტის ღირებულების მოგებები, ნაცვლად 50 პროცენტისა, როგორც ეს გასულ წლებში იყო. აგრეთვე ყოველ 100 ბილეთში მოგება შეხვდება 10 ბილეთს.

ყოველთვიურად გათამაშდება ორი ავტომანქანა „ვოლგა", რვა „მოსკვიჩი", სამი „ზაპოროჟეცი", 35 პიანინო, 40 მაცივარი, 50 რადიოლა და ა. შ.

სულ 1966 წელს გათამაშდება 3.348.000 მანეთის 1.860 ათასი სხვადასხვა ნივთისა და ფულადი მოგება.

როგორც წინათ, წელსაც მოგებათა ტირაჟი გაიმართება ყოველი თვის 25 რიცხვში. ტირაჟები გაიმართება თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, რუსთავში, ხაშურში, ორჯონიკიძეში, სარხერეში, ვანში, მცხეთასა და თიანეთში.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ საქართველოში უკანასკნელ წლებში გამართული ლატარიის ტირაჟებით 650 მოქალაქემ მოიგო ავტომანქანა, ათასმა — პიანინო, ასმა — საწოლი ოთახის გარნიტური და სხვ.

25 იანვარს ქ. თბილისში გაიმართება საქართველოს სსრ 1966 წლის პირველი გამოშვების ნივთებისა და ფულის ლატარიის პირველი ტირაჟი.



ევესეის, ევესეის, ევესეის!

საბერძნეთის ქალაქ პატრას ერთ-ერთ საწარმოში ზეინკლად მუშაობს სტავროს ტელიდი. დაახლოებით ათი წლის წინათ მან იგრძნო, რომ ყურს აკლდებოდა. ტელიდის ეგონა დაეწყო პროფესიული დაავადება, რომელიც საწარმოს ხმაურმა და შრომის პირობებმა გამოიწვია. მარჯვენა ყურში სავსებით დაკარგა სმენა, ხოლო მარცხენაში ძალიან ცუდად ესმოდა. ავადმყოფი სამკურნალოდ ათენში გაემგზავრა. იქ იგი გასინჯა ათენის უნივერსიტეტის პროფესორმა ხრისიკომ, რომელმაც გასამრჯელოდ 400 დრახმა მიიღო.

— თქვენი დაავადება განუკურნავია, — უთხრა პროფესორმა, — მაინც სცადეთ, საზღვარგარეთ წადით.

დაღონებულმა სტავროსმა დამზოგვი საზოგადოებ ის „იკა"-ს ექიმებს მიმართა. ნორმალურზე ოდნავ სუსტი სმენა გაქვთ და სასმენი აპარატი იხმარეთო. ეს ალბათ იმით იყო გამოწვეული, რომ შეეშინდათ ზეინკლისათვის მუდმივი პენსიის დანიშვნა მოუხდებოდათ.

44 წლის სტავროს ტელიდიმ განკურნების იმედი დაკარგა. მისი ნათესავები, მეგობრები, ამხანაგები ხელებით ანიშნებდნენ, ეუბნებოდნენ სიტყვებს და ისე აგებინებდნენ, თუ რა უნდოდათ.

ერთმა ბერძენმა თერაპევტმა სტავროსს ურჩია საბჭოთა კავშირში წამოსულიყო სამკურნალოდ. დაყრუებულმა ზეინკალმა კვლავ მიმართა „იკა"-ს ექიმებს და სთხოვა, რუსეთში წასვლის მიმართვა მომეცითო. მიმართვის მიცემაზე მათ ცივი ეური უთხრეს და ურჩიეს სამკურნალოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში ან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში წასულიყო.

მისთვის ყველა გზა მოჭრილი აღმოჩნდა. ვინ მისცემს სამკურნალო ფულს ღარიბ ზეინკალს კაპიტალისტურ სამყაროში?

ბევრი ნათესავი ჰყავს სტავროს ტელიდის საბჭოთა კავშირში. მანაც გადაწყვიტა ტურისტული საგზურით ჩვენს ქვეყანაში ჩამოსულიყო ნათესავების სანახავად. და აი სტავროსი თავის ნათესავებთან ჩავიდა შორეულ ყაზახეთის ქალაქ ჩიმკენტში. იქ გაიცნო საბჭოთა მოქალაქე, რომელსაც ზუსტად ასეთივე ოპერაცია გაეკეთებინა თბილისში ლენინური პრემიის ლაურეატთან, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტთან პროფესორ სიმონ ხეჩინაშვილთან.

მალე სტავროს ტელიდი თავისი ძმისშვილის ახალგაზრდა ჩიმკენტელი ექიმის ანასტასეს კობაკისიდის თანხლებით თბილისში ჩამოვიდა და ქალაქის მერვე საავადმყოფოში პროფესორ სიმონ ხეჩინაშვილის კლინიკაში დაწვა. პროფესორმა გასინჯა და ოპერაცია გაუკეთა.

ამჟამად სტავროს ტელიდი თავს მშვენივრად გრძნობს, სმენა ერთ ყურში მთლიანად დაუბრუნდა, მალე იგი საავადმყოფოდან გაეწერება და საშობლოში გაემგზავრება. რამდენიმე თვის შემდეგ კვლავ ეწვევა თბილისს და პროფესორი მეორე ყურშიც გაუკეთებს ოპერაციას.

ავადმყოფი ახლა სიამოვნებით ხუმრობს და იგონებს, რომ ჯერ კიდევ ოპერაციის დროს გარკვევით გაიგონა ლაპარაკი და პროფესორს სთხოვა ცოტა ხმადაბლა ელაპარაკა.

თვით პროფესორ სიმონ ხეჩინაშვილის აზრით, ამ ოპერაციაში არაჩვეულებრივი არაფერი ყოფილა, იგი ოტოსკლეროზის ჩვეულებრივი შემთხვევაა. ასეთი ტიპის პირველი ოპერაცია თბილისში ჯერ კიდევ 1960 წელს გაკეთდა. ახლა ამ ოპერაციებს თითქმის ყველა ქვეყანაში აკეთებენ. პატიოსანმუშამ სიმონმა გაკვირვება გამოთქვა იმის გამო, რომ ავადმყოფს საბერძნეთში ქირურგიული ჩარევის ნაცვლად ფიზიოთერაპიული მკურნალობა დაუნიშნეს.

პროფესორ სიმონ ხეჩინაშვილს ბევრი მადლიერი ადამიანი ჰყავს, ბევრს დუბრუნებია 1960 წლის შემდეგ მან ნარატო ამ სახის შვიდასზე მეტი ოპერაცია გაეკეთა.

ბ. ბახტურიძე.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — პროფესორი ს. ხეჩინაშვილი; შუაში — პროფესორი ოპერაციის დროს; მარჯვნივ — ბერძენი პაციენტი სტავროს ტელიდი აღფრთოვანებულია: მას უკვე ესმის..

ფოტო ს. ონანოვისა.

პიონერთა სასახლე საზოგადოებრივ საწყისებზე

ქუთაისი. (საკ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშათა დაბის სკოლებში 5 ათასამდე ბავშვი სწავლობს.

ქარხნის კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციებისა და კომკავშირის საქალაქო კომიტეტის ინიციატივით დაბაში საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე.

ჯერჯერობით მუშათა კლუბში დამატებით მოაწყეს ორი ოთახი საწრეო მუშაობისათვის. ქარხნის დირექციას გათვალისწინებული აქვს ბავშვების განკარგულებაში გადასცეს კიდევ რამდენიმე ოთახი.

მწყობრშია ახალი საწარმო

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის მშრომელებმა კიდევ ერთი საახალწლო საჩუქარი მიიღეს. მწყობრში ჩადგა საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი საწარმო — მძლავრი მექანიზებული სამრეცხაო, რომლის წარმადობა ცვლაში 2.000 კილოგრამ მშრალ თეთრეულს შეადგენს.

როგორია იგი, მარსი?

რა მოგვითხრო „მარინერ IV"-ემ

„მარსი გაცილებით უფრო მეტად ჰგავს თვარეს, ვიდრე დედამიწას" — ასეთი დასკვნა გააკეთეს მეცნიერებმა კოსმოსურ აპარატ „მარინერ IV"-ისაგან მიღებული ინფორმაციის ანალიზის შემდეგ. როგორც აღმოჩნდა, მარსს არა აქვს მაგნიტური არეა, ზედაპირთან ატმოსფერო ძალიან გაუსუფთაესია, თვით ზედაპირი დათხრილია კრატერებით, არ არის წყალი... პირქუში, უსიცოცხლო სამყაროა?! მაგრამ დასკვნების გაკეთებაში ჩქარება საჭირო არ არია. „მარინერ IV"-ემ მარსის გამოსახულებანი მიიღო ისეთი დიდი მანძილიდან (დაახლოებით 10.000 კილომეტრიდან), რომ პრინციპულად არ შეეძლო აღმოჩენა ცოცხალი არსებანი, ისინი იქ კიდევაც რომ იყონ. კითხვა „არის თუ არა სიცოცხლე მარსზე?" ღია დარჩა, თუმცა ამ პლანეტაზე სიცოცხლის არსებობის შესაძლებლობა „მარინერ IV"-ის ფრენის შემდეგ უფრო საეჭვოდ მიაჩნიათ.

მაგნიტური არეს არაარსებობა იმას ნიშნავს, რომ მარსს არა აქვს „ფარი", რომელიც შეასუსტებდა კოსმოსური სხივების მოქმედებას. მარსზე კიდევაც თუ არსებობს რაიმე ორგანიზმები, ისინი იძულებული იქნებოდნენ შეეუმუშავებინ რადიაციის ყოველ შემთხვევაში 50-100-ჯერ უფრო მაღალ დონეს, ვიდრე დედამიწის ზედაპირზეა. ასეთ ორგანიზმებს პრინციპულად შეუძლიათ არსებობდნენ. ხომ აღმოუჩენიათ ცოცხალი მიკრობები ატომურ რეაქტორებშიც კი, სადაც რადიაციის დონე გაცილებით უფრო მაღალია.

ძალიან გაუსუფთაესი ატმოსფერო შეუძლებელს ხდის სიცოცხლის მეტი წილი იმ ფორმების არსებობას მარსზე, რომლებიც დედამიწაზეა. მაგრამ იქ შეიძლება არსებობდნენ სიცოცხლის ისეთი ფორმები, რომლებიც დედამიწაზე არსებული ფორმებისაგან განსხვავდებიან. დედამიწაზეც კი არსებობენ ისეთი მიკროორგანიზმები, რომლებსაც სიცოცხლის შესანარჩუნებლად ჟანგბადი არ ესაჭიროებათ. გაუსუფთაესი ატმოსფერო მარსს ვერ დაიცავს მეტეორიტთა ზვიმისაგან. მეცნიერთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ კრატერები მარსზე, ისევე როგორც მთვარეზე, ძირითადად მეტეორიტული წარმოშობისაა.

მარსის განთქმული არსების აღმოჩენა ჯერ მოხერხდა, თუმცა „მარინერ IV"-ემ გადაიღო ზოგიერთი რაიონი, რომლებშიც დედამიწიდან დამკვირვებელნი არხებს ხედავდნენ. მეორე რამდენ ფანტასტა — და არა მარტო ფანტასტს — მარსის არხები გონიერ არსებათა საქმიანობის შედეგად მიაჩნდა? როგორც ჩანს, ის, რაც დედამიწიდან არხები ეგონათ, ნამდვილად კრატერების ზყებაა.

ყველა ჩამოთვლილი ფაქტორი ამცირებს მარსზე სიცოცხლის არსებობის შესაძლებლობას, მაგრამ როდი გამორიცხავს მას. კითხვაზე „არის თუ არა სიცოცხლე მარსზე?" პასუხის გასაცემად საჭიროა მარსის ზედაპირზე გაიგზავნოს ხელსაწყოები. ესენი ძალიან „ჭკვიანი" ხელსაწყოები უნდა იყოს. ისინი აიღებენ ჰაერისა და გრუნტის სინჯებს, შემდეგ კი ანალიზს გაუკეთებენ მიკროორგანიზმების არსებობის გამოსარკვევად. სიცოცხლის უფრო მსხვილი ფორმების აღმოსაჩენად, თუმცა მათი არსებობის შესაძლებლობა უმნიშვნელოა, გამოდგებოდა სატელევიზიო კამერები, რომლებიც მიტანილი იქნება მარსის ზედაპირზე ან დადგმული იქნება მარსის ხელოვნურ თანამგზავრზე, რომელიც დედამიწიდან იქნება გაშვებული. შესაძლოა აღმოჩნდეს, რომ საბოლოო პასუხის მიღება შეუძლებელია ხელსაწყოების დახმარებითაც კი. ამ პრობლემის გამორკვევა კოსმონავტებს მოუხდებათ. ყოველ შემთხვევაში მარსის ზედაპირზე უნდა დაეშვას ავტომატური თუ პილოტირებული აპარატი.

„მარინერ IV"-ის გაფრენამ გვიჩვენა, რომ მარსზე დაშვება უფრო რთული იქნება, ვიდრე წინათ ეგონათ, რამდენადაც ატმოსფერო გაუსუფთაესია და ძნისი გამოყენება აპარატის დასამუხრუჭებლად მხოლოდ ფრიად უმნიშვნელო ზომით შეიძლება.

როგორ ხდება ორბიტიდან დაბრუნებული ხელოვნური თანამგზავრების დაჯდომა დედამიწაზე? მას შემდეგ, რაც თანამგზავრი ორბიტიდან ჩამოვა, მას არავითარი დასამუხრუჭებელი ძრავები აღარ სჭირდება. ჰაერზე ხახუნი იმდენად ძლიერ ამუხრუჭებს თანამგზავრს, რომ მას შეუძლია გარკვეულ სიმაღლეზე პარაშუტი გაშალოს და დედამიწის ზედაპირზე ისე დაეშვას, რომ მხოლოდ მცირე ბიძგი განიცადოს. თუ უნდათ ბიძგი შეარბილონ, თანამგზავრზე დგამენ ძალიან პატარა ძრავს, რომელიც უზრუნველყოფს „რბილად" დაჯდომას. ასეთი ძრავით აღჭურვილი არიან საბჭოთა თანამგზავრი ხომალდები „ვოსხოდ", ამერიკის პილოტირებული თანამგზავრები კი ძრავის გამოუყენებლად ეშვებიან.

სხვა საქმეა დაჯდომა მთვარეზე, რომელიც სრულებით მოკლებულია ატმოსფეროს. ძრავი, რომელიც დედამიწაზე დაშვებისას „ფუფუნება" იყო, მთვარეზე დაჯდომისას დამუხრუჭების ერთადერთი საშუალება ხდება. თუ დედამიწაზე დაშვებისას ასეთი ძრავი მხოლოდ „ეხმარებოდა" პარაშუტებს და აჭრობდა წამში რამდენიმე მეტრი რიგის სიჩქარეს, მთვარეზე დაშვებისას ძრავმა წამში რამდენიმე კილომეტრი რიგის სიჩქარე უნდა ჩააქროს. ცხადია, რომ ეს ძრავი დახარჯავს რამდენიმე ასჯერ და რამდენიმე ათასჯერაც მეტ სათბობს, ვიდრე ის ძრავი, რომელიც უზრუნველყოფს რბილად დაჯდომას დედამიწის ზედაპირზე. ხოლო მთელი ეს სათბობი დედამიწიდან უნდა იქნას წაღებული. აპარატში ზედმეტი კილოგრამი სათბობი ნიშნავს ასობით ზედმეტ კილოგრამ სათბობს მატარებელ რაკეტაზე.

აპარატ „მარინერ IV"-ის გაფრენამდე ყარაუდობდნენ, რომ მარსის ატმოსფერო თუმცა გაუხშოებულია დედამიწის ატმოსფეროსთან შედარებით, მაგრამ მაინც შეუძლია დამუხრუჭოს აპარატი. უნდა გაკეთდეს უფრო დიდი პარაშუტები, და ყველაფერი რიგზე იქნება! დასაჯდომი აპარატების ყველა პროექტი იმ ანგარიშით მუშავდებოდა, რომ ატმოსფეროს წნევა მარსის ზედაპირთან 15 მილიბარს შეადგენს (დედამიწასთან ზღვის დონეზე 1.000 მილიბარს). აპარატ „მარინერ IV"-ის საშუალებით გაკეთებულმა გაზომვებმა ცხადყო, რომ ატმოსფეროს წნევა მარსის ზედაპირთან სულ 4-7 მილიბარს შეადგენს. ასეთ გაუხშოებულ ატმოსფეროში აეროდინამიკური ხახუნის ხარჯზე დამუხრუჭება ფრიად მცირე იქნება, ხოლო პარაშუტების გამოყენება საერთოდ შეუძლებელი იქნება. რჩება ძრავები. მათთვის საჭირო სათბობი წაღებულ უნდა იქნას დედამიწიდან. აპარატის წონა ერთთაშად იზრდება რამდენჯერმე. ასეთი მძიმე აპარატის გასაშვებად გამოყენებულ უნდა იქნას მძლავრი მატარებელი რაკეტა. წარმატებით დაჯდომის მოსალოდნელობა მცირდება: ჯერ ერთი, ძრავი შეიძლება არ ჩაირთოს ან ჩაირთოს, მაგრამ საჭირო დამუხრუჭება ვერ უზრუნველყოს; მეორე, შეიძლება არ ჩაირთოს ორიენტაციის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ძრავის მიმართულებას საჭირო მხარისაკენ.

ამრიგად, „მარინერ IV"-ის ფრენის შედეგად გამოირკვა, რომ მარსზე სიცოცხლის არსებობის შესაძლებლობა ნაკლებია, ვიდრე ვარაუდობდნენ, ხოლო სიცოცხლის ძებნასთან დაკავშირებული სიძნელენი გაცილებით მეტია. შესაძლოა, ამან გამოიწვიოს მარსის შემდგომი კვლევის „გადადება" და მთელი ღონისძიებების წარმართვა ვენერის კვლევაზე. ვენერაზე სიცოცხლის შესახებ იმდენივეა ცნობილი, რამდენიც მარსზე სიცოცხლის შესახებ, ესე იგი არაფერი არ არის ცნობილი. მაგრამ ვენერაზე მკვრივი ატმოსფერო მაინც არის, რომელიც შეამსუბუქებს დაჯდომას. მართალია, ბევრ სპეციალისტს მიაჩნია, რომ „მარინერ-IV" შეიძლებოდა შემდგარიყო და მარსის ატმოსფეროს „დახურვა" ნაადრევი იყოს. საჭიროა კიდევ რამდენიმე კოსმოსური აპარატი გაიზავნოს „მარინერ IV"-ის ჩვენებათა ხელახლა შემოწმებისათვის. სამწუხაროდ, მარსისაკენ კოსმოსური აპარატების გაშვებისათვის ხელსაყრელი პერიოდები მხოლოდ ორ წელიწადში ერთხელ წარმოიშობა. „მარინერ IV"-ის ჩვენებათა შემოწმება შესაძლებელია არაუადრეს 1967 წლისა. საკალენდაროო როდია, რომ მარსის ატმოსფეროს გამოსაკვლევი აპარატები რბილად დაეშვან პლანეტის ზედაპირზე. დაე ოაიშაოონ დავარდნისას: ატმოსფეროში ფრენის დროს ისინი მოასწრებენ ტელემეტრიული არხებით გადმოსცენ დედამიწას გაზომვათა შედეგები. ამ აპარატების გაშვება ისეთ რთულ პრობლემას არ წარმოადგენს, როგორც დაჯდომა, და ალბათ ახალ ცნობებს მარსის შესახებ სწორედ მათგან მივიღებთ.

იური მარინინი,
აას-ის მეცნიერი კომენტატორი.

ახალი საავადმყოფო

ახალქალაქი. (საკ. კორ.). ამ დღეებში აქ მწყობრში ჩადგა ფართო მოედნებითა და სკვერებით დამშვენებული ახალი რაიონული საავადმყოფო.

აქ არის სამშობიარო, თერაპიული, ქირურგიული, ინფექციური, ბავშვთა და სხვა განყოფილებები. საავადმყოფო ერთდროულად მომსახურებას გაუწევს 200-მდე მწოლიარე ავადმყოფს.

საექსპლოატაციოდ გადაეცა აგრეთვე საავადმყოფოს ახალი ორსართულიანი შენობა სოფელ ბარალეთში, აქვე გაიხსნა რენტგენის კაბინეტ-ლაბორატორია.

ამჟამად რაიონის სამკურნალო დაწესებულებებს შეუძლიათ ერთდროულად მოემსახურონ 330-ზე მეტ მწოლიარე ავადმყოფს.

ნოვგოროდის კოშკი არ დაინგრევა

ნოვგოროდის კრემლის ვლადიმირის ოცმეტრიან კოშკს არ ემუქრება ცნობილი პიზის სამრეკლოს ხვედრი: რუსეთ უროთმოძღვართა XV საუკუნის ქმნილება არ დაეცემა ვოლხოვისპირა ფერდობებს.

კოშკის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელზე მიშენებულმა პატარა სამლოცველომ კოშკი გადასძლია და იმის საფრთხე შეიქმნა, რომ კოშკი დაეცემოდა.

ათი წლის წინათ, როცა ამ დიდებული ანსამბლის რესტავრაცია დაიწყო, შეიმუშავეს კოშკის გადარჩენის პროექტი. რესტავრატორებმა დაშალეს სამლოცველო, რომელიც არქიტექტურულ ღირებულებას არ წარმოადგენდა და აღმოფხვრეს მოახლოებული საფრთხის პირველმიზეზი. შემდეგ მათ კოშკს ახალი საძირკველი ამოუშენეს, კედლების შიდა უბნები კი ფოლადის წკნელებით გაამაგრეს.

ამას წინათ კოშკი სპეციალისტებმა გამოიკვლიეს. მათი აზრით, იგი უკვე აღარ გადაიბრება კრემლის ანსამბლიდან.

ვ. პეტრუნია.
(საკ. კორ.).

ოჭრომჭედლობა გრეემში

ყვარელი. (საკ. კორ.). არქეოლოგიურმა სამეცნიერო ექსპედიციამ, რომელიც მოაწყო საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის შუა საუკუნეების მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილებამ პროფესორ პ. ზაქარაიას ხელმძღვანელობით გრეემში წარმოებული არქეოლოგიური გათხრებისას აღმოაჩინა იშვიათი ოსტატობით ნაგები დარბაზები, კოშკები, აბანოები და სხვ.

ყოფილი ქალაქის ცენტრში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს აგრეთვე აგურისა და თიხისაგან გაკეთებული ქურა. მისმა შესწავლამ ნათელყო, რომ ქურაში ოქრომჭედელი სხვადასხვა სამკაულს ამზადებდა. ექსპედიციამ ოქრომჭედლის ქურა საზოგადოებრივ საწყისებზე მოწყობილ ვრემის მუზეუმს გადასცა.

ატს-ი დუშეთში

დუშეთი. (საკ. კორ.). შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს ქ. დუშეთის მშრომელებმა — ამუშავდა ხუთასნომრიანი ავტომატური ტელეფონის სადგური.

სადგურის ვადაზე ადრე მოწყობა-დამონტაჟებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს ზეინკლებმა გ. ჩიტაიშვილმა და ლ. ლეგეიდამ, მემონტაჟეებმა ნ. ალბოროვამ, ლ. ჯილდოევამ, ინჟინერმა ვ. ლაცაბიძემ.

ტყუპები მესამეჯერ

სარჩერის რაიონის სამშობიარო სახლში მოსამშობიარეებად მოიყვანეს სოფელ კორბოულის მცხოვრები თალიკო გოგალაძე. მას ორი ბოგონა შეეძინა. ერთი 2,8 კილოგრამს იწონის, ხოლო მეორე — 2,9 კილოგრამს.

ალსანიშნავია, რომ თ. გოგალაძემ მესამეჯერ შობა ტყუპები.

ბ. კილაძე.

მთაში მოთოვა. ფოტოეტიუდი ს. მამასახლისისა.

ოქტომბერი • ეროვნული პოლიტიკა

ღღეს ლენინგრადის სეზიგურაოზე...

ევროპის უძლიერესმა ჩქაროსნულმა მოიკგურავეებმა „უკვე დაამთავრეს წინასაწარეპაინატო მზადება და ჰოლანდიის ქ. დენენტერს ეწვევნენ, სადაც ღღეს სტარტი მიეცემა სეზონის ერთ-ერთ უდიდეს ასპარეზობას — „ევროპის პირველობას. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ფავორიტები სსრ კავშირის, ნორვეგიისა და ჰოლანდიის მოიკგურავეები არიან.

ეი მთავარ მეტოქეთა შემადგენლობა: **სსრ კავშირი** — ედუარდ მატუსევიჩი, ვალერი კაპლანი, ანტს ანტსონი, ვიქტორ კოსიჩკინი, ვიქტორ კუზოკოვი; **ნორვეგია**—სვენ-ერიკ სტინესენი, ფრედანტონ მაიერი, პერ-ო�არ მუ, ბერ-ვილი გუტორმსენი, ბიორნ ტვეტერი, მაგნე ტომასენი (სათადარიგო); **ჰოლანდია** — კეს ფერკერკი, არდ შენკი, რუდი ლიბრეტსი, ფრიც ბარტლინგი, ედი ფერჰეენი, პეტერ ნოტეტი (სათადარიგო).

ნაკრების შემადგენლობა ცნობილია

თბილისში პირველ რიცხვებში ჩეხოსლოვაკიაში გაიმართება ევროპის ჩემპიონატი ფიგურულ კიგურაობაში, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა სპორტსმენები.

სსრ კავშირის ნაკრებს სათავეში უდგანან ცნობილი მოკიგურავეები — ლენინგრადელები ლიუდმილა ბელოუსოვა და ოლეგ პროტოპოპოვი. გუნდის დანარჩენი მონაწილეები მოსკოველები არიან — ტატიანა ჩუბი და ალექსანდრე ბულერიანი, ტატიანა ტარასოვა და ბორის პროსკულინი; ერთეულთა პაექრობაში მონაწილეობას მიიღებენ ვალერი მეშკუტი, სერგეი ჩეტვერუხინი და სხვ.

მაინც ვერ დაეწივნენ...

სოფია, 21 იანვარი. (საკდესი). სსრ კავშირის ჩემპიონებმა არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის კალათბურთელებმა ანგარიშით 63:78 (27:32) წააგეს ევროპის ჩემპიონთა თასის სასპასუხო მეოთხეფინალური მატჩი ბულგარეთის გუნდთან „ჩერვენო ზნამიასთან". ორივე შეხვედრის საერთო ანგარიშია (პირველი შეხვედრა „მოიგეს ჩვენმა სპორტსმენებმა — 77:64) 142:140 ბულგარელების სასარგებლოდ, რომლებმაც პირველი ორი ქულა ჩაიწერეს თავიანთ ქვეჯგუფში. მოსკოველ არმიელებს ერთი ქულა აქვთ.

უკვე პირველი მატჩიდანვე აშკარა გახდა, რომ საბჭოთა კალათბურთელების მეტოქეებისაგან სიურპრიზი იყო მოსალოდნელი. პირველ შეხვედრაში თითქმის მატჩის ნახევრამდე ანგარიში ბულგარელებს მიჰყავდათ, არმიელებმა კი, რომლებმაც ჯეროვნად არ შეათვისეს მეტოქეთა საბრძოლო პოტენციალი, თამაშში გარდატეხა შეიტანეს მხოლოდ შესვენების შემდეგ.

„ჩერვენო ზნამიას" კალათბურთელებმა, რომლებსაც „მშობლიური კიდლების" უპირატესობა ჰქონდათ, ამჯერად ევროპის ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელი აიძულეს მხოლოდ ანგარიშის გათანაბრებისათვის ეზრუნათ. მხოლოდ ერთხელ—მატჩის დასაწყისში ანგარიში თანაბარი იყო — 4:4, შემდეგ მასპინძლები წინ გაიჭრნენ. ამჯერადაც არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის კალათბურთელები შესვენების შემდეგ შეეცადნენ ხელი ეგდოთ ინიციატივა. მაგრამ მასპინძლებმა ვერ გაუძლეს სტუმრის შეტევებს, რომლებიც მხოლოდ ერთი იყო და კვლავ შეუტიეს არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის ფარს. ამიტომ, „ჩერვენო ზნამიას" გუნდის კალათბურთელებმა—გათამაშების დროებითი ტატნებმა დიდი წარმატება მოიპოვეს.

ახლა ყველაფერი დამოკიდებული ხდება არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდის შემდეგ გამოსვლებზე, რადგან ამჯერად შეჯიბრება ქალაქ ვეფსში წრიული სისტემით მიმდინარეობდა. არმიელთა მეტოქეები ამჯერად იქნებიან საბერძნეთის აეკის კლუბისა და ოლიმპიის „ზადარის" კალათბურთელები. ისინი ამასწინათ გენმეორებით შეხვდნენ ერთმანეთს ათენში, სადაც გამარჯვება ბერძნებმა მოიპოვეს ანგარიშით 76:71. ბერძნებსაც ამჟამად ორი ქულა აქვთ.

სპორტული ქრონიკა

□ მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური ასპარეზობა მოტორბოლაში ყინულზე მოსკოვისა და ფინეთის გუნდებს შორის. თვითეულმა სპორტსმენმა ორი დღის განმავლობაში ოცდათერთმეტჯერ აიღო სტარტი. საერთო გუნდურ ჩაბარებაში გაიმარჯვეს საბჭოთა მოტორბოლელებმა ანგარიშით 158:68.

□ ფილიპინელმა მსროლელმა ადოლფო ფელიჩიანომ მცირე კალიბრის, ექვსანაბიანი წოლილა მდგომარეობიდან 50 მეტრზე სროლაში ბრწყინვალე შედეგს მიაღწია. მან 600 შესაძლებლიდან 600 ქულა შეაგროვა. ეს შედეგი სამი ქულით აღემატება წინანდელ რეკორდს, მაგრამ იგი არ იქნა აღიარებული ახალ მსოფლიო რეკორდად, რადგან ნაჩვენები იყო საწვრთნელ ასპარეზობის დროს.

□ **რიბაში** — დამთავრდა ექვსი ქვეყნის მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირის მეორე ეტაპი. ისევე, როგორც წინა შეჯიბრებაში მეტწილად წარმატება საბჭოთა სპორტსმენებს ხვდათ. უკანასკნელ დღეს ფრანგებმა ორი პირველი ადგილი დაიკავეს 55 მეტრზე თარეხებსა და 1.000 მეტრზე რბენაში.

ეს საინტერესოა!

გოლიათი-პატარა

მარი (თურქმენეთის სსრ). არა მარტო მურგაბის ოაზისში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც გოცებით ლაპარაკობენ პატარა გოლიათზე — საკარ-ჩაგინ რაიონის კოლმეურნეობა „ლენინ იოლის („ლენინური გზით") საველე-სატრტორო ბრიგადის ხელმძღვანელის ორუსგელდიევის შვილ ველმურადზე. ის ახლა ორი წლისა და შვიდი თვისაა — ბაგის ასაკისა. მაგრამ ბავშვის სიმაღლე უკვე 95 სანტიმეტრს შეაღწია. მკერდის გარშემოწერილობამ — 40 სანტიმეტრ ხოლო წონამ დაახლოებით 40 კილოგრამს. დედამისი უზუკი ამბობს:

— ბავშვი დღეობით კი არა, საათობით იზრდება. ყოველ ორ კვირაში ახალ ტანსაცმელს ვუკერავ. როცა დაიბადა, არაფრით არ განსხვავდებოდა თანატოლებისაგან. მაგრამ ორი თვისა რომ გახდა სწრაფად დაიწყო ზრდა. განუუთავრად. ახლა ველმურადი ერთ მიღებაზე სვამს ორ ლიტრ რძეს და ჭამს მოზრდილ. ყველაზე მეტად შაქარი უყვარს, შეუძლია ერთ ჯერზე მთელი კილოგრამი შეჭამოს;

პატარას არაჩვეულებრივი ღონე აქვს — თავისუფლად სწევს ერთ ველოსიპედ წყალს.

ორუსგელდიევებს შვიდი შვილი ჰყავთ. ველმურადი ბოლოსწინაა, მაგრამ ფიზიკური განვითარებით უფროსებს გაუსწრო.

პატარა გოლიათი თავს კარგად გრძნობს, არაფერი სტკივა, ოღონდ ექიმებს მუდმივ მეთვალყურეობაშია, ისინი თვალყურს ადევნებენ მის ჯანმრთელობას.

მ. ბოდრი („პრავდა").



ეკრანის პრემიერა

საქართველოს რესპუბლიკური კინოგაქირავების კანტორა სომხეთის საბჭოთა კინემატოგრაფიის 40 წლისთავთან დაკავშირებით ეკრანებზე უშვებს კინოტატუდია „არმენფილმის" ახალ კინოსურათს.

„საბანგებო დავალება"

ფილმი ასახავს გამოჩენილი რევოლუციონერის სიმონ არშაკის-ძე ტერ-პეტროსიანის (ყამო) ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

სცენარის ავტორია პ. ისაევი, დადგმული რეჟისორები ს. კევორკოვი და ე. კარამიანი.

რადიო

22 იანვარი

პირველი პროგრამით

09.15 — ს. მირიანაშვილის სიმღერები, 11.15 — მუსიკის საათი ბავშვებისათვის — „პეტრე ჩაიკოვსკი", 12.30 — გადაცემა ციკლიდან — „ახალი წიგნები", 12.45 — ბუნინი. რაპსოდია „რუმინული ჰანგები", 13.10 — ა. ბუკიას რომანსები, 13.40 — ესტონური სიმღერები, 14.00 — მუსიკალურ-ლიტერატურული კონცერტი: „ლენინი ჩვენთან არის" (მოსკოვი), 17.15 — გადაცემა მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა — „ლენინი შუშენსკოეში", 18.10 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 18.45 — რუსული პოპულარული რომანსები, 18.30 გადაცემა ახალგაზრდობისათვის, 19.45 — ს. ცინცაძე, ნაწყვეტები ოპერეტიდან „აბლაბუდა", 20.15 — „ძილისპირული" 20.30 — „მხიარულ ტალღაზე"; 21.00 — „შაბათ საღამოს", 22.00 — „რუსთაველის საიუბილეოდ", 23.30 — მსუბუქი მუსიკა.

ტელევიზია

22 იანვარი

16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — თქვენთვის, პატარებო! — „ცეროდენას ეკრანი", 17.20 — მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი „სილის საათი", 18.00 — დოკუმენტური ფილმი, 18.45 — გადაცემა — „საკოლმეურნეო შრომის ორგანიზატორები" — კობა ხახელი. 19.15 — კინონარკვევი, 19.25 — „ჩვენი საბჭოეთიზიო აფიშა", 20.10 — გადაცემა — „ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები", 20.40 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 20.55 — მხატვრული ფილმი, 22.40 —გადაცემათა პროგრამა 23 იანვრისათვის, 22.45 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.30 — „საახალწლო კალენდარი" — საახალწლო „ცისფერი ეკრანის" პირველი ნაწილის განმეორება (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეცხრე არხზე — დაიწყება 15.55-დან.

23 იანვარს

10.00 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენ